



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №120

თბილისი

„05“ 02 2019წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში  
შემავალი სსიპ - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების/კოლეჯების  
ხელმძღვანელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-9 „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:


1. დამტკიცდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების/კოლეჯების ხელმძღვანელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6.)

02

მიხეილ ბატიაშვილი


**შემსრულებელი:**

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (დამხმარე სპეციალისტი)

 01.02.2019 /ანი სუარიძე/

**შეთანხმებულია:**


ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი

 /სალომე ჭიჭინაძე/


ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი

 /ლევან ჩირგაძე/


იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

 /დავით ლომინაშვილი/

პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი

 /ირინე წეროძე/

მინისტრის მოადგილე

 /ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი/

მინისტრის მოადგილე

 /ირინე აბულაძე/

**ბრძანება ეგზავნება:**

1. ადმინისტრაციას (დეპარტამენტი);
2. სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს;
3. სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს/კოლეჯებს.

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში  
შემავალი სსიპ - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის ხელმძღვანელთა  
შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი**

**მუხლი 1. რეგულირების საგანი**

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ დაფუძნებული/თანადაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების/კოლეჯების (შემდგომში - კოლეჯი) ხელმძღვანელების შესარჩევი კონკურსის (შემდგომში - შესარჩევი კონკურსი) ჩატარების პირობებს.

**მუხლი 2. რეგულირების სფერო**

ეს წესი ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც სურთ კოლეჯის ხელმძღვანელობა. აგრეთვე, განსაზღვრავს სამინისტროს საქმიანობას კოლეჯის ხელმძღვანელობის მსურველთა შესარჩევი კონკურსის პროცესში.

**მუხლი 3. კომისიის შექმნის წესი**

1. შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად სამინისტროში იქმნება შესაბამისი კომისია. კომისია იქმნება კოლეჯის ხელმძღვანელის პოზიციაზე საუკეთესო კანდიდატთა შერჩევის მიზნით.
2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი (შემდგომში - მინისტრი) განსაზღვრავს კომისიის შემადგენლობას.

**მუხლი 4. კომისიის შემადგენლობა**

1. კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს მინისტრი, აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით, შესარჩევი კოლეჯის ხელმძღვანელის თანამდებობით გათვალისწინებული სპეციფიკიდან გამომდინარე.
2. კომისიის შემადგენლობაში შედიან მინისტრი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი, სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის წარმომადგენელი, შესაბამისი

დარგობრივი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი ან/და შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

3. კანდიდატი არ შეიძლება იყოს იმ კომისიის წევრი, რომელმაც უნდა მოახდინოს მისი შერჩევა.

#### **მუხლი 5. კომისიის წევრის აცილება**

1. კომისიის წევრი ვალდებულია, შესარჩევი კონკურსის ეტაპების დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებასა და კანდიდატის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას იმავე ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი სხვა კანდიდატების შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3. თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნულის შესახებ კომისიისათვის ცნობილი გახდება შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობისას, კომისიის ამ წევრის მიერ კანდიდატის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

#### **მუხლი 6. კომისიის საქმიანობა**

1. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

2. კომისია უფლებამოსილია, გადაწყვეტილება მიიღოს კენჭისყრის საფუძველზე; ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გამამწვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

3. კომისია, ამ წესის შესაბამისად, აფასებს კანდიდატის შესაბამისობას კოლეჯის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

4. კომისიის მიერ კანდიდატის შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი, თანმიმდევრულად და თანაბრად გამოყენებული ყველა კანდიდატისადმი შესარჩევი კონკურსის ყველა ეტაპზე.

5. კომისიის მიერ კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარდგენილი დოკუმენტებისა და წერიტი დავალების ან/და გასაუბრების შედეგების, სამუშაო გამოცდილებისა და განათლების შეფასებას.

6. კომისიის მიერ კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგი აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

7. კომისია ვალდებულია საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

#### **მუხლი 7. შესარჩევი კონკურსის გამოცხადება**

1. შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი.



2. სამინისტრო შესარჩევ კონკურსს პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე აცხადებს ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)) მეშვეობით.

3. სამინისტრო უფლებამოსილია, შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია დამატებით განათავსოს სამინისტროს ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და ბეჭდვით ორგანოებში.

#### **მუხლი 8. შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინება**

1. შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) კოლეჯის დასახელებას;

ბ) კანდიდატის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს;

გ) კოლეჯის ხელმძღვანელის თანამდებობით გათვალისწინებულ სამუშაო აღწერილობას;

დ) ინფორმაციას შრომის ანაზღაურების შესახებ;

ე) განაცხადებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალსა და წარდგენის ვადას;

ვ) სამინისტროს მისამართს;

ზ) კონკურსის ეტაპებს.

2. სამინისტროს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, კონკურსის შესახებ შეტყობინებაში აისახოს სხვა ინფორმაციაც.

#### **მუხლი 9. შესარჩევ კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენა**

1. შესარჩევ კონკურსში მონაწილეობისათვის, კანდიდატი განაცხადს წარადგენს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით.

2. კანდიდატი ვალდებულია, სამინისტროს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია და დოკუმენტები საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

3. კანდიდატს შესარჩევ კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარსადგენად ეძლევა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების დღიდან არანაკლებ 10 კალენდარული დღის ვადა.

4. კანდიდატი უფლებამოსილია, განაცხადში შეიტანოს ცვლილება სამინისტროს მიერ განაცხადების წარდგენისთვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.

#### **მუხლი 10. შესარჩევი კონკურსის ეტაპები**

1. შესარჩევი კონკურსის ეტაპებია:

ა) კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმარულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ბ) წერთი დავალება ან/და შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება.

2. კომისიას შეუძლია, კანდიდატის შეფასებისათვის, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შესარჩევი კონკურსის ეტაპებთან ერთად განსაზღვროს დამატებითი ეტაპი, რაც უნდა აისახოს კონკურსის ოფიციალურად გამოცხადების შესახებ შეტყობინებაში.

## **მუხლი 11. შესარჩევი კონკურსის პირველი ეტაპი**

1. შესარჩევი კონკურსის პირველი ეტაპი წარმოადგენს კანდიდატის განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, რაც გულისხმობს გამოცხადებული ვაკანსიისათვის დადგენილ ძირითად, სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებთან კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას.
2. შესარჩევი კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, კომისიის დავალებით, უზრუნველყოფს სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის ერთეული.
3. სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის ერთეული, განცხადებების წარდგენისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ადგენს განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობას.
4. განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შედეგებს სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის ერთეული წარუდგენს კომისიას, რაც ფორმდება შესაბამისი საოქმო ჩანაწერით და დასტურდება კომისიის წევრების ხელმოწერით.
5. შესარჩევი კონკურსის მომდევნო ეტაპამდე, კომისია ვალდებულია, ელექტრონულად ან/და წერილობით აცნობოს კანდიდატს მის მიერ წარდგენილი განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.
6. კანდიდატის მოთხოვნის შემთხვევაში კომისია ვალდებულია კანდიდატისათვის გაგზავნილ გადაწყვეტილებაში მიუთითოს მისი განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის მიზეზი.

## **მუხლი 12. შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპი**

1. შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპი გულისხმობს კანდიდატის შეფასებას წერიტი დავალებისა ან/და გასაუბრების გზით.
2. კომისიის მიერ კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგი აისახება კომისიის სხდომის ოქმში.
3. შესარჩევი კონკურსის შედეგების შესაბამისად, საუკეთესო კანდიდატის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია. კომისიის სხდომის ოქმი მისი შედგენიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, წარედგინება მინისტრს.
4. კანდიდატის თანხმობის შემთხვევაში, გასაუბრებაზე შეიძლება განხორციელდეს გასაუბრების აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

## **მუხლი 13. შესარჩევი კონკურსის შედეგები**

1. კომისია კოლეჯის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასანიშნად წარადგენს საუკეთესო კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.
2. კომისია შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო

დღისა, თითოეულ კანდიდატს ელექტრონულად ან/და წერილობით აცნობებს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

3. სამინისტრო შესარჩევი კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაციას ასახავს ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის შესაბამის მოდულში.

#### **მუხლი 14. შესარჩევი კონკურსის ჩაშლილად გამოცხადება**

შესარჩევი კონკურსი ჩაშლილად მიიჩნევა, თუ:

ა) მასში მონაწილეობისათვის წარდგენილი არ იქნა არცერთი განაცხადი;

ბ) კომისიამ დასაბუთებული უარი განაცხადა კოლეჯის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წარდგენაზე.

#### **მუხლი 15. შესარჩევი კონკურსის შეწყვეტის საფუძვლები**

1. კოლეჯის რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის, არასაკმარისი საბიუჯეტო სახსრების ან/და სხვა გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში, სამინისტრო უფლებამოსილია, შეწყვიტოს გამოცხადებული შესარჩევი კონკურსი ნებისმიერ ეტაპზე.

2. სამინისტრო ვალდებულია, შესარჩევი კონკურსის შეწყვეტის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება შეატყობინოს კანდიდატებსა და ბიუროს.

#### **მუხლი 16. საპრეტენზიო კომისია**

1. შესარჩევი კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, მინისტრის ბრძანებით, შესაძლებელია შეიქმნას საპრეტენზიო კომისია.

2. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს მინისტრი.

3. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები.

4. პირი, რომელიც მონაწილეობდა კონკურსის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში.

5. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

6. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

7. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

8. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საპრეტენზიო კომისიის სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები.

9. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

10. კანდიდატს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ წერილობითი ფორმით, კონკურსის შედეგების (მის მიმართ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება) გამოცხადებიდან (გადაწყვეტილების ჩაბარებიდან – წერილობით გაგზავნის შემთხვევასა და გაგზავნიდან – გადაწყვეტილების ელექტრონული ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში) არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

11. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება კომისიის მიერ განიხილება არაუმეტეს 3 სამუშაო დღეში. მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება კომისიას.

12. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისია საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობის შემდგომ.

13. კომისიას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს გაფართოებული სხდომა საპრეტენზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით.

#### **მუხლი 17. კონკურსის შედეგების გასაჩივრება**

კონკურსის მონაწილე კანდიდატს უფლება აქვს, კონკურსის პროცედურების, ეტაპებისა და შედეგების თაობაზე მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.